USAID
ამერიკელი ხალხისგან

NDI

რა უნდა ვიცოდეთ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე?

გზამკვლევი მოქალაქისთვის

www.ndi.org

გზამკვლევის ავტორი:
ნინო ლოლაძე, GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ადგილობრივი თვითმმართველობის ცენტრის ხელმძღვანელი

გზამკვლევი მომზადდა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) პროექტის „საარჩევნო და პოლიტიკური პროცესების მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში.

წინამდებარე გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის საშუალებით გაწეული დახმარებით. შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

NDI არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეში პარტნიორებთან ერთად მუშაობს, რომ გააძლიეროს და დაიცვას დემოკრატიული ინსტიტუტები, პროცესები, ნორმები და ღირებულებები, რათა ყველასთვის ცხოვრების უკეთესი ხარისხი უზრუნველყოს. NDI მსოფლიოს ხედავს, როგორც ადგილს, სადაც დემოკრატია და თავისუფლება იმარჯვებს და ყველას ღირსება დაცულია. ორგანიზაციის შესახებ დამატებით ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ვებ-გვერდზე - www.ndi.org

თბილისი, 2023

სარჩევი

3 რატომ უნდა წაიკითხოთ ეს გზამკვლევი?

5 მოსახლეობასთან ერთად ვინ მართავს მუნიციპალიტეტს?

6 რა უფლებამოსილებები გააჩნია მუნიციპალიტეტს?

9 რა არის ბიუჯეტი?

11 მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

18 ვინ არიან საბიუჯეტო პროცესის მონაწილე მხარეები?

19 რა როლი აქვთ დაინტერესებულ მხარეებს ბიუჯეტირების პროცესში?

20 პირველი ფაზა - ბიუჯეტის დაგეგმვა

29 მეორე ფაზა - ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება

32 მესამე ფაზა - ბიუჯეტის შესრულება, ანგარიშგება და კონტროლი

34 საბიუჯეტო კალენდარი

რატომ უნდა წაიკითხოთ ეს გზამკვლევი?

ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები[1].

თქვენ, მოქალაქეებს, უფლება გაქვთ:

- ჩაერთოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე სხვადასხვა გზითა და ფორმით დააყენოთ თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხები და მოითხოვოთ მათი გადაწყვეტა;
- მონაწილეობა მიიღოთ მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში;
- მოითხოვოთ ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლებისგან და მიიღოთ დასაბუთებული პასუხი;
- გაეცნოთ მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს[2], დამტკიცებულ[3] და დაზუსტებულ[4] ბიუჯეტებს;
- დაესწროთ ბიუჯეტის პროექტის განხილვას საკრებულოს და საკრებულოს კომისიების სხდომებზე;
- მონიტორინგი გაუწიოთ ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვას და გამოითხოვოთ საჭირო დოკუმენტები მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებიდან;
- გაეცნოთ ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს.

---

1 საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 2014 წ., მუხლი 2, პუნქტი 1.

2 ბიუჯეტის პროექტი - მერის მიერ მომზადებული ბიუჯეტის დოკუმენტი, რომელიც საკრებულოში პროექტის სახით არის წარდგენილი და ჯერ არ დამტკიცებულა;

3 დამტკიცებული ბიუჯეტი – შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

4 დაზუსტებული ბიუჯეტი – კორექტირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

მაშ ასე, თითოეული მოქალაქის უფლებაა, ჩაერთოს მუნიციპალიტეტის მართვის პროცესში, თუმცა მთავარი გამოწვევაა, რამდენად იყენებს მოქალაქე ამ უფლებას, რა წვლილი შეაქვს საკუთარი დასახლების განვითარებაში, მონაწილეობს თუ არა მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ინაწილებს თუ არა პასუხისმგებლობას.

იმისათვის, რომ თქვენ, მოქალაქე, აქტიურად ჩაერთოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად დაგეგმოთ, თუ რა საკითხების მოგვარებისთვის უნდა დაიხარჯოს თქვენი გადასახადებით შევსებული ბიუჯეტი, პირველ რიგში, კარგად უნდა იყოთ ინფორმირებული და იცოდეთ:

- **რა უფლებამოსილება აქვს ადგილობრივ თვითმმართველობას და რა საკითხების მოგვარება შეიძლება მუნიციპალიტეტის ფინანსებით?**
- **როგორია საბიუჯეტო პროცესი?**
- **რა უფლებამოსილება აქვთ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს საბიუჯეტო პროცესში?**
- **რა როლი აქვთ მოქალაქეებს ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისა და განკარგვის პროცესში?**
- **რა პოზიტიური შედეგი მოაქვს ხელისუფლებისა და მოქალაქეების ურთიერთთანამშრომლობას?**
- **რა არის ადგილობრივი ბიუჯეტი: რა წყაროებიდან ივსება ბიუჯეტი და როგორ იხარჯება?**

ამ საკითხების ცოდნა გაზრდის თქვენს მოტივაციას, უფრო აქტიურად ჩაერთოთ ბიუჯეტირების პროცესში.

მოსახლეობასთან ერთად ვინ მართავს მუნიციპალიტეტს?

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით[5].

საკრებულო - წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც *ანგარიშვალდებულია მოსახლეობის წინაშე;*

საკრებულო კოლეგიური ორგანოა, სადაც ხმათა უმრავლესობით მიიღება გადაწყვეტილებები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მერი - აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც *ანგარიშვალდებულია მოსახლეობისა და საკრებულოს წინაშე;*

***მუნიციპალიტეტის* მერია** არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლება უზრუნველყოფს საკრებულოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას, სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას და მოსახლეობისთვის სერვისების მიწოდებას. თავის მხრივ კი საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირება და კონტროლი. საკრებულო კონტროლს უწევს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, ისმენს და აფასებს თანამდებობის პირთა საქმიანობის ანგარიშებს.

5 საქართველოს კონსტიტუცია 1995 წ., მუხლი 74, პუნქტი 1.

რა უფლებამოსილებები გააჩნია მუნიციპალიტეტს?

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით (2014 წელი) განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების სახეები: საკუთარი[6] და დელეგირებული[7]. სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები გამიჯნულია ერთმანეთისგან.

მოქალაქემ იმისთვის, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას ბიუჯეტიდან რაიმეს გაკეთება მოსთხოვოს, მნიშვნელოვანია, კარგად იცოდეს, თუ რა უფლება აქვს თვითმმართველობას და რის გაკეთება შეუძლია.

იცით თუ არა, რა საკითხების მოსაგვარებლად შეიძლება დაიხარჯოს ადგილობრივი ბიუჯეტი?

ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და კომუნალური მეურნეობა:

- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია;
- სოფლების წყალმომარაგება (ქალაქების წყალმომარაგებას უზრუნველყოფს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია);
- ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;
- მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;
- გარე განათება - დასახლებული პუნქტების და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების განათება;
- საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა - სკვერები, პარკები;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობა;
- სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების ადაპტირება.

6 საკუთარი (ექსკლუზიური) უფლებამოსილება - თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, რომელსაც ის ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით;

7 დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფოს ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

სკოლამდელი განათლება:

- საბავშვო ბაღების მართვა;
- საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა.

გარემოს დაცვა:

- მუნიციპალური ნარჩენების მართვა;
- ქუჩებისა და საზოგადოებრივი ობიექტების დაგვა-დასუფთავება;
- ტერიტორიის გამწვანება;
- მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა - პოპულაციის მართვა.

სპორტი და კულტურა:

- სპორტული და კულტურული სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება;
- მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და კულტურის ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია.

სოციალური სფერო:

- უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირება და აღჭურვა;
- ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვის, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით პრევენციული და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელება.

ამასთან, მუნიციპალიტეტს საკუთარი ინიციატივით შეუძლია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება არ არის და არ იკრძალება კანონით. ასეთია:

- ტურიზმის განვითარება;
- სოციალური დახმარება და ჯანმრთელობის დაცვა;
- ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა;
- ბავშვის დაცვა და მხარდაჭერა;
- მასობრივი სპორტის ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივი განათლებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა;
- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენცია, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა და სხვ.

რა არის ბიუჯეტი?

მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების განხორციელების მთავარი ინსტრუმენტი ადგილობრივი ბიუჯეტია.

- ყველა მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი;
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა მუნიციპალიტეტის, ისე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტებისგან.

ბიუჯეტი დროის კონკრეტულ პერიოდში, ძირითადად - ერთი წლის განმავლობაში, ფიზიკური პირის, ოჯახის, ბიზნესის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის შემოსავლებისა და გასავლების ერთიანი ჩამონათვალია.

ფინანსური დოკუმენტების სტრუქტურა

ყველა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომლის შემუშავებასა და განკარგვაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი ხელისუფლება.

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტებია:

- საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი;
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი (დანართებით: პროგრამული ბიუჯეტის დანართი, კაპიტალური ბიუჯეტის დანართი და ა(ა)იპ[8]-ების დანართი).

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ; დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას როგორც გასულ პერიოდზე, ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებსა და პროგრამებზე.

პრიორიტეტების დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას გასულ პერიოდზე (***მიმდინარე და გასული წლები, მაგალითად***, 2023-2026 ***წლების პრიორიტეტების დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია*** 2021 ***და*** 2022 ***წლების შესახებ***),

8 ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში (***დასაგეგმი*** 2023 ***წელი და დასაგეგმის შემდგომი სამი წელი*** - 2024, 2025 ***და*** 2026 ***წლები***) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებსა და პროგრამებზე.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის (2009 წ.) თანახმად, **ბიუჯეტი** არის საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების (სხვადასხვა წყაროდან მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა), გასაწევი გადასახდელებისა (*გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა*) და ნაშთის ცვლილების (წინა წლის დარჩენილი თანხა, რომელიც ვერ დაიხარჯა და მისი გამოყენება ან დაგროვება მოხდება) ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური მონაცემები წარმოდგენილია გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის. მაგალითად, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში არის ინფორმაცია 2023 წელს დაგეგმილი და გასული 2021 და 2022 წლების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ.

ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს საერთო სტრუქტურა აქვს და რამდენიმე თავისგან შედგება:

- **პირველ თავში,** რომელიც რამდენიმე მუხლს აერთიანებს, მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტის ძირითადი ფინანსური პარამეტრების შესახებ: ბიუჯეტის ბალანსი, შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება; შემოსავლები (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები), ხარჯები და სხვ.

- **ბიუჯეტის მეორე თავში** მოცემულია პროგრამებსა და ქვეპროგრამების აღწერა და მიზნები. ამასთან, ბიუჯეტს ახლავს პროგრამული დანართი, სადაც დამატებით მოცემულია პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო/შუალედური შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები), ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები;

- **ბიუჯეტის მესამე თავში** კი წარმოდგენილია ინფორმაცია პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამებისთვის გამოყოფილი ასიგნებების შესახებ (ასიგნება ნიშნავს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გადახდის განხორციელების უფლებამოსილებას). ეს ინფორმაცია მოცემულია გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლების მიხედვით.

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მთელი ფული, რომელიც წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შედის, ***შემოსულობებია.***

იცით თუ არა, რომ...

მუნიციპალიტეტის შემოსულობები 4 ძირითადი წყაროდან ივსება:

შემოსავლები

მუნიციპალიტეტის შემთხვევაში შემოსავლებს წარმოადგენს გადასახადები, გრანტები და სხვა შემოსავლები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია მუნიციპალიტეტის შემოსავლის სხვადასხვა წყარო.

შემოსავლები
გადასახადები: ქონების გადასახადი, დღგ-დან წილი
გრანტები: მიზნობრივი, კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები
სხვა შემოსავლები: იჯარა, პროცენტი, სხვადასხვა მოსაკრებელი, ჯარიმები და საურავები

არაფინანსური აქტივების კლება

ტერმინი არაფინანსური აქტივების კლება ნიშნავს ქონების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს.

არაფინანსური აქტივები
ძირითადი აქტივები: შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, კულტივირებული მცენარეები და ცხოველები
არაწარმოებული აქტივები: მიწა და წიაღისეული

ფინანსური აქტივების კლება

ფინანსური აქტივების კლება ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტს დანაზოგი ჰქონდა და ახლა ამ ფულის გამოყენებას გეგმავს.

ფინანსური აქტივები

დეპოზიტები: - მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული თავისუფალი თანხის გამოყენება;

სესხად გაცემული თანხის დაბრუნება - მუნიციპალიტეტს შეუძლია გასცეს სესხი;

აქციები და სხვა კაპიტალი.

ვალდებულებების ზრდა

მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, საქართველოს მთავრობის ნებართვით, კაპიტალური ინვესტიციის განსახორციელებლად აიღოს სესხი, რომლის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასული 3 საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების საშუალო წლიური ოდენობის 10%-ს. მუნიციპალიტეტს განსაზღვულზე მეტი მოცულობით სესხის აღება შეუძლია მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსა და მის მიერ კონტროლირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან.

ვალდებულებები

ალბათ, საინტერესოა ისიც, როგორ ვმონაწილეობთ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შევსებაში თავად ჩვენ, მოქალაქეები.

სავარაუდოდ, არ მოიძებნება ადამიანი, ვისაც ერთხელ მაინც არ უთქვამს: სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ჩემი გადახდილი გადასახადებით ივსება და ეს ჩვენი ფულია.

თუმცა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან მიმართებაში ხშირად მცდარი მოსაზრებებიც ისმის. მოქალაქეებს, რატომღაც, მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო აძლევს მუნიციპალიტეტს ფულს და თავად არ მონაწილეობენ ამ პროცესში. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია და მას გააჩნია როგორც საკუთარი, ასევე არასაკუთარი შემოსულობები.

მონაწილეობთ თუ არა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შევსებაში?

მოქალაქეები პირდაპირ და არაპირდაპირ მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შევსებაში.

**შენიშვნა: მოქალაქეთა ნაწილი ფიქრობს, რომ ელექტროენერგიის ან ბუნებრივი აირის მოხმარებისთვის მათ მიერ გადახდილი თანხა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შედის, აღნიშნული მოსაზრება მცდარია, რადგან ეს თანხა სერვისის მომწოდებელი კომპანიის ბიუჯეტში მიდის.*

დეტალურად განვიხილოთ ჩვენ მიერ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პირდაპირ და არაპირდაპირ გადახდილი გადასახადები.

როგორც უკვე ვიცით, მუნიციპალიტეტის შემოსულობების 4 წყაროდან ერთ-ერთი შემოსავლებია. თავის მხრივ, ეს შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და სხვა შემოსავლებს.

მაშ ასე, მივყვეთ თანმიმდევრობით:

გადასახადები - ადგილობრივ ბიუჯეტში შემოდის ქონების გადასახადი და ასევე, დღგ-ს წილი.

ქონების გადასახადი პირდაპირი გადასახადია, რომელსაც მოქალაქეები (ფიზიკური პირები) და საწარმო/ორგანიზაციები ბიუჯეტში იხდიან.

ვინ იხდის ქონების გადასახადს:

- ფიზიკური პირი იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ტერიტორიაზე დასაბეგრი ქონების (სახლი, ავტომობილი) მფლობელია და ამ პირის ოჯახის წინა წლის შემოსავლები აღემატება 40 000 ლარს;
- ფიზიკური პირი, თუ საქართველოს ტერიტორიაზე საკუთრებაში აქვს სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურმეო დანიშნულების მიწა, რომელიც ქონების გადასახადის გადახდისაგან არ არის გათავისუფლებული;

» საწარმო/ორგანიზაცია მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე.

ქონების გადასახადიდან შემოსავალი შედის იმ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, სადაც აღნიშნული ქონება მდებარეობს, ხოლო ავტომობილის შემთხვევაში კი, სადაც რეგისტრირებულია.

დღგ-დან ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შედის შემოსავალი. შეძენილ ნივთსა და მომსახურებაზე ჩვენ, მოქალაქეები, ვიხდით ღირებულების 18% დღგ-ს სახით. ეს ჩვენ მიერ გადახდილი არაპირდაპირი გადასახადია. მთელი საქართველოს მასშტაბით შემოსული დღგ-ს 81% სახელმწიფო ბიუჯეტში მიდის, ხოლო 19% 64 მუნიციპალიტეტს შორის ნაწილდება. მათ შორის ამ ფულს თქვენი მუნიციპალიტეტიც იღებს.

ასე რომ, თქვენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფული პირდაპირ შეგაქვთ ქონების გადასახადის სახით და ასევე არაპირდაპირ - რაიმე საქონლის ან მომსახურების შეძენის შემდეგ დღგ-ს სახით.

გრანტები შემოსავლების ერთ-ერთი წყაროა. სახელმწიფო მუნიციპალიტეტს სამი სახის ტრანსფერს აძლევს: **კაპიტალურ ტრანსფერს** - მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, **სპეციალურ ტრანსფერს** - სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ და **მიზნობრივ ტრანსფერს** - დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, როგორიც არის სამხედრო სამსახურში გაწვევა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და სხვ.

**შენიშვნა: შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქე სახელმწიფოს მიერ ტრანსფერების გადაცემაშიც არაპირდაპირ მონაწილეობს - სახელმწიფო ბიუჯეტი ხომ ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადებით (საშემოსავლო, დღგ, აქციზი, იმპორტი, მოგება) ივსება.*

სხვა შემოსავლები - ამ კატეგორიიდან ბიუჯეტში შემოსავალი ისევ მოქალაქეების მიერ გადახდილი თანხიდან შედის.

თქვენ იხდით:

» იჯარის თანხას, თუკი ქონება მუნიციპალიტეტისგან გაქვთ იჯარით აღებული;

» მოსაკრებლის თანხას - მშენებლობის ნებართვისთვის; დასუფთავების სერვისის მიღებისთვის; სამხედრო სავალდებულო გაწვევის გადავადებისთვის; სათამაშო ბიზნესი თუ გაქვთ, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს;

» ჯარიმებისა და საურავების თანხას - საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის (გადახდილი ჯარიმის 60 პროცენტი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიდის), მუნიციპალური ზედამხედველობის მიერ გამოწერილ ჯარიმას და სხვ.

ასე რომ, თქვენ მონაწილეობთ ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებაში, ამიტომ ჩაერთეთ იმ ბიუჯეტის დაგეგმვაში, რომელიც თქვენი გადახდილი გადასახადებიდან და სხვა შემოსავლებიდან ივსება და თავად გადაწყვიტეთ, რაში უნდა დაიხარჯოს საჯარო ფული.

გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა **ბიუჯეტის გადასახდელებს** წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის გადასახდელების 4 წყაროა:

ხარჯები

» შრომის ანაზღაურება (მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ხელფასები)
» საქონელი და მომსახურება (საოფისე მასალებისა და ინვენტარის შეძენა, სხვ.);
» პროცენტი (ბანკიდან აღებული სესხის პროცენტი)
» სუბსიდია (მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების დაფინანსება)
» გრანტი (სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანადაფინანსება)
» სოციალური უზრუნველყოფა
» სხვა ხარჯი

არაფინანსური აქტივების ზრდა

არაფინანსური აქტივების ზრდა არის ქონების შეძენა, რეაბილიტაცია; კაპიტალური პროექტების შესრულება, როდესაც მუნიციპალიტეტი რაიმე სახის ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს.

არაფინანსური აქტივების ზრდა

- ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება
- მანქანა-დანადგარების შეძენა
- 500 ლარზე მეტი ღირებულების ტექნიკას შეძენა

ფინანსური აქტივების ზრდა

როდესაც მუნიციპალიტეტი სესხს გასცემს, შპს-ს აფინანსებს ან დეპოზიტზე დებს თანხას, ამ ოპერაციების შედეგად მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივები იზრდება.

ფინანსური აქტივების ზრდა

- კომერციული ბანკის ანგარიშზე თავისუფალი თანხის შეტანა
- სესხის გაცემა
- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ს დაფინანსება

ვალდებულებების კლება

- მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვა.

ვალდებულებების კლება

- საშინაო ან საგარეო ვალის ძირითადი თანხის გადახდა.

რა პერიოდს მოიცავს ბიუჯეტირება და რა პასუხისმგებლობა გააჩნიათ ხელისუფლების ორგანოებს ამ პროცესში?

- ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი ფინანსების ხარჯვაზე;
- საქართველოს ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.

იცით თუ არა, რომ...

- ადგილობრივი თვიმმართველობის საბიუჯეტო პროცესი ორ წელსა და ორ თვესგრძელდება;
- ბიუჯეტზე მუშაობა საბიუჯეტო წლის დადგომამდე 10 თვით ადრე, 1-ელ მარტს იწყება;
- საბიუჯეტო პროცესი მთავრდება საბიუჯეტო წლის მომდევნო წელს, (არაუგვიანეს) 1-ელ მაისს, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცებით;
- ბიუჯეტირება სამ მთავარ ფაზას მოიცავს:

საბიუჯეტო ციკლში ადგილობრივ ბიუჯეტზე პასუხისმგებლობა თვითმმართველობის აღმასრულებელ (მერი/მერია) და წარმომადგენლობით (საკრებულო) ორგანოებზე არის გადანაწილებული.

მერი / მერია	საკრებულო
ბიუჯეტის პროექტის მომზადება	ბიუჯეტის პროექტის განხილვა
ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში წარდგენა	ბიუჯეტის დამტკიცება
დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების მომზადება და საკრებულოში წარდგენა	ბიუჯეტის ცვლილებების დამტკიცება
ბიუჯეტის შესრულება	ბიუჯეტის შესრულების კონტროლი
ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების წარდგენა საკრებულოში	ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება

ვინ არიან საბიუჯეტო პროცესის მონაწილე მხარეები?

მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტები მხარეთა ჩართულობით უნდა მზადდებოდეს. ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით უნდა გეგმავდეს და ანაწილებდეს ბიუჯეტს, ცხადია, თვითმმართველობისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. ამასთან, დაგეგმვის პროცესი უნდა იყოს ინკლუზიური და ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ყველა ჯგუფის ჩართულობა.

მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას ორგანოებთან ერთად, ბიუჯეტირების პროცესში ჩართულები უნდა იყვნენ დაინტერესებული მხარეები:

- მოქალაქე;
- მუნიციპალიტეტში მოქმედი საბჭოები: მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო; მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო; შშმ პირთა საბჭო და სხვ.;

- ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები; სათემო კავშირები; საინიციატივო ჯგუფები; ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG);
- მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები: შშმ პირები, ქალები, ახალგაზრდები, მოსახლეობის სხვა, ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების წარმომადგენლები;
- ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები; ქალი მეწარმეები; ფერმერები; კოოპერატივების წარმომადგენლები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები და სხვ.;

ბიუჯეტის შემუშავებაში ჩართულობა ხელს უწყობს გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

თითოეულ მოქალაქესა თუ ინტერესთა ჯგუფს საბიუჯეტო პროცესში აქტიური ჩართულობით შეუძლია გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინოს და ცვლილებების ინიციატორი გახდეს.

რა როლი აქვთ დაინტერესებულ მხარეებს ბიუჯეტირებისპროცესში?

რატომ უნდა ჩაერთოთ ბიუჯეტირების პროცესში? იმიტომ, რომ:

- გავლენა მოახდინოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე;
- ადგილობრივი ხელისუფლების დღის წესრიგში დააყენოთ თქვენი საჭიროებები;
- ხელი შეუწყოთ საჯარო ფინანსების გამჭვირვალობას და ეფექტურად ხარჯვას.

! გახსოვდეთ: ადგილობრივი ბიუჯეტი იხარჯება იმისთვის, რომ მოსახლეობამ ხარისხიანი სერვისები მიიღოს და უკეთეს გარემოში იცხოვროს.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საბიუჯეტო ციკლში მოქალაქეს და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს თავიანთი როლი და ადგილი აქვთ.

პირველი ფაზა - ბიუჯეტის დაგეგმვა

ეს მნიშვნელოვანია:

- ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური;
- ბიუჯეტის მომზადება იწყება საბიუჯეტო წლის დადგომამდე 10 თვით ადრე - 1-ელი მარტიდან;
- პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობს მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც არიან: მერი, მერის მოადგილე, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი და სხვა დაინტერესებული პირები;
- პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების პროცესში მნიშვნელოვანია მოქალაქეთა საჭიროებების კვლევა;
- პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვერსიას სამუშაო ჯგუფი 15 აგვისტომდე წარუდგენს მერს;
- ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვერსია მზად უნდა იყოს არაუგვიანეს 15 ნოემბრისა.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები და მისი თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები.

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საბიუჯეტო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია **გამჭვირვალობა. ამისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს:**

- ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის;
- დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება;
- ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის.

მუნიციპალიტეტის შესაბამისმა უწყებამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება:

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი;
- საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში;
- ასევე, საკრებულო უფლებამოსილია, შესაბამისი გადაწყვეტილებით გააფართოოს სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ან/და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა.[9]

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით განსაზღვრული ფორმებია:

- დასახლების საერთო კრება;
- პეტიცია;[10]
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;
- მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

გარდა კანონით განსაზღვრული ფორმებისა, მოქალაქეთა ჩართულობა შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს სხვადასხვა გზითა და მეთოდებით, როგორიც არის:

- საჯარო და ინდივიდუალური შეხვედრები დასახლებულ უბნებში;
- მოქალაქეთა წერილობითი ინიციატივები;
- მოქალაქეთა წინადადებები და რეკომენდაციები;
- საზოგადოებრივი აზრის კვლევები;
- საჯარო განხილვები;
- საინფორმაციო კამპანიები;

9 კარგი პრაქტიკის მაგალითია, როდესაც მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები უზრუნველყოფენ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტებისა და გადაწყვეტილების პროაქტიულად გამოქვეყნებას. **მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას** აფასებს ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი. http://www.lsgindex.org/ - ამ ბმულზე შეგიძლიათ თქვენი მუნიციპალიტეტის რეიტინგს გაეცნოთ.

10 ელექტრონული პეტიციის პლატფორმებია change.org და manifest.ge;

- ელექტრონული რესურსებით ურთიერთობა - ვებგვერდი, სოციალური ქსელი;
- ექსპერტებთან შეხვედრები და დისკუსიები;
- სხვადასხვა საზოგადოებრივი კომიტეტები, მრჩეველთა საბჭოები;
- კონფერენციები, ფორუმები, სემინარები;
- მონაწილეობითი ბიუჯეტირება და სხვ.

თქვენ, როგორც მოქალაქეს, რის გაკეთება შეგიძლიათ ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე?

რეკომენდაცია:

გაეცანით საჭირო დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- მერიის ვებგვერდს და ბიუჯეტთან დაკავშირებით იქ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს;
- შესაძლოა თქვენი მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე იყოს ველი მომავალი წლის პრიორიტეტების განსაზღვრაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ, მაშინ აუცილებლად შედით ამ ბმულზე და მიიღეთ მონაწილეობა პრიორიტეტების განსაზღვრაში;
- მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ან სოციალურ პლატფორმაზე გაეცანით ინფორმაციას, დაგეგმილია თუ არა ბიუჯეტის პროექტზე მუშაობის პროცესში მოქალაქეებთან საჯარო შეხვედრები და მოინიშნეთ თარიღი;
- თუკი აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებული არ არის, მერიას მიმართეთ, რომ მოგაწოდონ ინფორმაცია ბიუჯეტირების პროცესში გათვალისწინებული ჩართულობის მექანიზმებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ და, ამასთან, ჩაგრთონ ამ პროცესში;
- თქვენს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს სთხოვეთ, რომ მოგაწოდოთ ინფორმაცია საჯარო შეხვედრებისა და სხვა დაგეგმილი აქტივობებისშესახებ;

გქონდეთ წერილობითი კომუნიკაცია ხელისუფლებასთან:

- ელექტრონული ფოსტის საშუალებით გააგზავნეთ მერიაში წერილი, სადაც მომავალი წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი საჭიროებების შესახებ ინფორმაციას გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მიაწვდით;
- თქვენი დასახლების საჭიროებათა შესახებ დაწერეთ ინდივიდუალური ან კოლექტიური წერილი, პირადად ჩააბარეთ მერიის კანცელარიაში. თუკი არ შეგიძლიათ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში ჩასვლა, გადაეცით წერილი მერის წარმომადგენელს, რათა მან ჩააბაროს წერილი შესაბამის უწყებას;
- აუცილებლად მოითხოვეთ თქვენ მიერ ჩაბარებული წერილის ნომერი, რათა შემდეგ იოლად შეძლოთ მისი მოკითხვა და მერიის შესაბამისი სამსახურებიდან ინფორმაციის მიღება;
- მოამზადეთ პეტიცია თანამოაზრეებთან ერთად ან ხელი მოაწერეთ უკვე მომზადებულ პეტიციას;
- თქვენი საჭიროებების შესახებ წერილობით მიმართეთ საკრებულოს თავმჯდომარეს, ფრაქციებს, საკრებულოში მაჟორიტარ დეპუტატს.

გაითვალისწინეთ, რომ წერილში, რომელსაც მუნიციპალიტეტს წარუდგენთ, ასახული იყოს შემდეგი საკითხები:

- პრობლემის არსი;
- პრობლემის გამომწვევი შედეგები;
- პრობლემის დასაბუთება (შეგიძლიათ დაურთოთ სურათი ან სხვა დოკუმენტი);
- მასშტაბი - ერთ უბანს მოიცავს, სოფელს, თემს თუ მთელს მუნიციპალიტეტს;
- ბენეფიციართა რაოდენობა, მათ შორის, გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში;
- პრობლემის გადაჭრის გზები;
- სავარაუდო ბიუჯეტი.

მონაწილეობა მიიღეთ:

- საჯარო განხილვებში;
- მერიის ან საკრებულოს მიერ ორგანიზებულ კვლევებში: ფოკუს-ჯგუფებში, რაოდენობრივ გამოკითხვაში, ელექტრონულ გამოკითხვაში;
- დასახლების საერთო კრების ორგანიზებაში (თანამოაზრეებთან ერთად დაგეგმეთ ან ჩაერთეთ ამ პროცესში);
- საკრებულოს წევრებისა და ფრაქციების მიერ დაგეგმილ შეხვედრებში და მათაც მიაწოდეთ ინფორმაცია თქვენი საჭიროებების შესახებ (თავად შეგიძლიათ იყოთ ამ შეხვედრების ინიციატორი);
- პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის საჯარო განხილვაში;
- მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესში (დაწერეთ ინიციატივა, ჩაერთეთ ხმის მიცემის პროცესში).

მონაწილეობის პოზიტიური შედეგები

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში, 2020 წლის იდეების კონკურსის წინ, ბათუმის ველომოყვარულთა კლუბმა (Love to Ride Batumi) შექმნა საინიციატივო ჯგუფი და მოამზადა იდეა სახელწოდებით „ბათუმი ველო-ქალაქი“. იდეის მიზანი ქალაქის ტერიტორიაზე ველოსიპედის პარკირების და შესაკეთებელი სადგურების დამონტაჟება იყო. მოქალაქეების მიერ ხმის მიცემის გზით აღნიშნულმა იდეამ გაიმარჯვა და ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსება მოიპოვა. ამჟამად ბათუმის ტერიტორიაზე უკვე დამონტაჟდა ველოსიპედის პარკირების 12 ადგილი (ჯამში 70 ცალი) და ამავე წელს დაიდგმება 5 ველო-შესაკეთებელი სადგური. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია 2019 წლიდან ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების საააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის პროგრამა (GGI)-ის მხარდაჭერით.

ითანამშრომლეთ:

- მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან და გაუზიარეთ თქვენს თემში არსებული გამოწვევები;
- მერის მრჩეველთა საბჭოსთან;
- შშმ პირთა საბჭოსთან;
- ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან და მათაც მიაწოდეთ ინფორმაცია თქვენი საჭიროებების შესახებ.

საგულისხმოა, რომ მოქალაქეს უფლება აქვს გახდეს მუნიციპალიტეტში შექმნილი სხვადასხვა საბჭოს წევრი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების გათვალისწინებით.

თანამშრომლობის პოზიტიური შედეგები

NDI-ს ხელშეწყობით წარმატებით ხორციელდება პროექტი, რომელიც პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის კარგი პრაქტიკის დანერგვას უზრუნველყოფს. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი სამოქალაქო სექტორი. მათ ჩაატარეს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა კვლევა. გამოვლინდა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების დღის წესრიგში სხვადასხვა პლატფორმების გამოყენებით დადგა. მერიისთვის წარდგენილი იქნება რეკომენდაციები და ინიციატივები, რომელთა ნაწილი უკვე აისახა 2023 წლის ბიუჯეტში.

- *თელავის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა სამოქალაქო ჯგუფებს მიერ წარდგენილი ორი ინიციატივა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ჰიგიენური საშუალებებით მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსების გაზრდა და აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების (7 წლის ასაკის ზემოთ) თანადაფინანსების პროგრამის დამატება (სამოქალაქო სექტორის ეს ინიციატივა თანხვედრაში იყო გენდერული საბჭოს მიერ წარდგენილ საბიუჯეტო ინიციატივასთან);*
- *ზუგდიდის სამოქალაქო სექტორის მიერ მერიისთვის წარდგენილ რეკომენდაციებს შორის იყო მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება. ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა ქალაქ ზუგდიდში ცენტრალურ ქუჩებზე ხმოვანი შუქნიშნების მოწყობა.*

თანამშრომლობის პოზიტიური შედეგები

სამოქალაქო აქტივიზმის შედეგად ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები 2023 წლიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსურ დახმარებას (სტიპენ-დიას) მიიღებენ. ყველაფერი კი ახალგაზრდებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლობით დაიწყო. NDI-ს მხარდაჭერით სამცხე-ჯავახეთის მედიაცენტრმა განახორციელა პროექ-ტი „თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება მოქალაქეთა ინტერესების დაცვისთვის“. სტიპენდიების საკითხი ახალგაზრდების საჭიროებების კვლევის შედეგად გამოვლინდა, რასაც ახალგაზრდების მიერ აქტიური ადვოკატირების კამპანია მოჰყვა. საბოლოოდ კი მერიამ გაითვალისწინა ახალგაზრდების საჭიროება და 2023 წლის ბიუჯეტში ნინოწმინდელი წარჩინებული სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარების (სტიპენდია) პროგრამა დაამატა.

! **გახსოვდეთ: კარგი იქნება, აღმასრულებელ ხელისუფლებას თქვენი მოსაზრებები მომავალი წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელ პრიორიტეტებთან დაკავშირებით, აგვისტოს პირველ რიცხვებამდე წარუდგინოთ, რადგან საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსია 15 აგვისტოსთვის არის მზად;**

ცხადია, ფინანსურ დოკუმენტზე მუშაობის პროცესი გრძელდება და თქვენი საჭიროებების შესახებ აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებთან კომუნიკაცია ნებისმიერ დროს შეგიძლიათ - როგორც ბიუჯეტის მომზადების, ასევე განხილვის ეტაპზე.

- » პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის მომზადების შემდეგ მონაწილეობა მიიღეთ საჯარო განხილვაში, თუკი ასეთი დაიგეგმება;
- » მოითხოვეთ მერიისგან პასუხი, პირველად ვერსიაში გათვალისწინებული არის თუ არა თქვენი საჭიროება და კიდევ ერთხელ აღნიშნეთ, რომ ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოხდეს მისი გათვალისწინება;

მიიღეთ მონაწილეობა მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ 15 ნოემბრამდე დაგეგმილ შეხვედრებში და თქვენი საკითხის ადვოკატირებისთვის ყველა პლატფორმა გამოიყენეთ.

ჩართულობის პოზიტიური შედეგები

NDI-ს ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა თანამშრომლობს ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ფოთის, წალენჯიხის, თელავის, ახმეტის, ლაგოდეხის და მარნეულის მუნიციპალიტეტებთან. ამ მუნიციპალიტეტებში წარმატებით დაინერგა პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის განხილვის პრაქტიკა. მას შემდეგ, რაც 15 აგვისტოსთვის მზად არის პრიორიტეტების დოკუმენტი და საკრებულოს ფრაქციებს, გენდერულ თანასწორობის საბჭოს და არასამთავრობო ორგანიზაციებს მერიისთვის წარდგენილი აქვთ თავისი ინიციატივები, იმართება საჯარო განხილვა. მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის პრეზენტაციის შემდეგ შეხვედრის ყველა მონაწილე სუბიექტს შესაძლებლობა აქვს წარადგინოს თავის ინიციატივა, იმართება დისკუსია, რომელი ინიციატივის გათვალისწინებაა შესაძლებელი ბიუჯეტში. ამ პროცესის მთავარი შედეგი ის არის, რომ დაინერგა საბიუჯეტო პროცესში ჩართულობის მექანიზმი, ადრეულ ეტაპზე დაიწყო მერიასა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ბიუჯეტის საკითხებზე აქტიური კოორდინაცია და ამ პროცესმა ხელი შეუწყო ფრაქციების, გენდერული საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მთელი რიგი ინიციატივების ასახვას მუნიციპალურ ბიუჯეტებში.

თქვენ ცვლილებების ინიციატორები ხართ!

თითოეული მოქალაქისა და სხვადასხვა ჯგუფის აქტივობას ყოველთვის მოაქვს შედეგი: ზოგჯერ მყისიერად, ზოგჯერ კი ხანგრძლივი და თანმიმდევრული ადვოკატირების კამპანიის შედეგად.

საბიუჯეტო პროცესში თქვენი, როგორც მოქალაქის ჩართულობა არ ნიშნავს, რომ ყველა საკითხი აუცილებლად გადაწყდება. შესაძლოა, პირველივე მცდელობა შედეგის მომტანი არც იყოს, ვინაიდან მუნიციპალიტეტს შეზღუდული ფინანსური რესურსები გააჩნია და ყველა პრობლემა ერთ წელიწადში ვერ გადაწყდება. თუმცა ყოველთვის დგება ის დრო, როცა თქვენი საკითხი პრიორიტეტული გახდება, მთავარია, დაწყებული საქმე არ მიატოვოთ იმ მიზეზით, რომ „მაინც არაფერი გამოვა“.

ადგილობრივი მოქალაქეების მიერ რამდენიმე წლის წინ დაწყებული აქტივობა 2022 წელს სასურველი შედეგით დასრულდა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზინობიანში.

სამოქალაქო აქტივიზმის შედეგი

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზინობიანში კავკასიის ალბანეთის უკანასკნელი შემორჩენილი ეთნიკური ჯგუფი - უდიები ცხოვრობენ, რომლებიც საქართველოში 100 წლის წინ 1922 წელს გადმოასახლეს აზერბაიჯანის ტერიტორიიდან. ადგილობრივი ახალგაზრდების სხვადასხვა აქტივობისა და სოფლის ისტორიის პოპულარიზების კამპანიის შემდეგ, ზინობიანი მუნიციპალიტეტში ტურისტული მიზიდულობის ახალი დანიშნულების ადგილი გახდა. წლების განმავლობაში სოფლის მთავარი გამოწვევა გაუმართავი საგზაო ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი სივრცეების ნაკლებობა იყო. ამ პრობლემების მოგვარებას ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი, მოსახლეობის ხელმოწერებით დადასტურებული წერილებით, მერიისგან წლების განმავლობაში ითხოვდა, თუმცა მუნიციპალიტეტის მწირი ბიუჯეტით აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა ვერ ხერხდებოდა. ევროკავშირის დაფინანსებით კახეთში დაიწყო საპილოტე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ტურისტულად საინტერესო ადგილებში, ერთ-ერთი პირობის თანახმად, ინიციატივა აუცილებლად ადგილობრივი თემიდან უნდა წამოსულიყო. სწორედ ეს ფინანსური წყარო აღმოჩნდა პრობლემის მოგვარების შესაძლებლობა ზინობიანისთვის. საინიციატივო ჯგუფმა კვლავ შეძლო სოფლის მოსახლეობის მობილიზება, დაიწერა წერილი, სადაც აღნიშნული იყო პროექტის განხორციელების აუცილებლობა და დროულობა სოფლის ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის. მერიისა და სოფლის საინიციატივო ჯგუფის თანამშრომლობამ საბოლოოდ შედეგი გამოიღო - პროექტი 1 მლნ. ლარით დაფინანსდა და დღეს ზინობიანში უკვე არის მოასფალტებული შიდა გზები, ბიბლიოთეკა, სარეკრეაციო სივრცე და უდიების მუზეუმი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შეზღუდული რესურსების სწორად გადანაწილებაში მოქალაქეთა მონაწილეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუკი თქვენ იქნებით თანმიმდევრული, არ მიატოვებთ დაწყებულ საქმეს და ხელისუფლებას მუდმივად შეახსენებთ საჭიროებებს, კიდევ უფრო დიდია იმის შანსი, რომ ბიუჯეტის პრიორიტეტებს შორის თქვენი საკითხიც აღმოჩნდეს.

მეორე ფაზა - **ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება**

ეს მნიშვნელოვანია:

- მერი ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიას 15 ნოემბრამდე წარუდგენს საკრებულოს;
- საკრებულოს აპარატმა ბიუჯეტის პროექტი წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოაქვეყნოს საჯარო განხილვისთვის;
- საკრებულოს აპარატმა უნდა გამოაქვეყნოს ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება: საკრებულოს ის კომისიები, რომელსაც გადაეცათ პროექტები განსახილველად, კომისიებსა და ფრაქციებში პროექტის განხილვის ვადები, კომისიებისა და ფრაქციების ადგილსამყოფელი და სხდომების გრაფიკი, პროექტების საკრებულოს სხდომაზე გატანის დრო, საკრებულოს აპარატის მისამართი, სადაც შეიძლება წარდგენილი იქნეს მოსაზრებები პროექტთან დაკავშირებით, მოსაზრებების წარდგენის ვადა;
- საკრებულოს კომისიებში იწყება ბიუჯეტის პროექტის განხილვა;
- ნებისმიერ პირს უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის ღია სხდომებს;
- საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დამსწრე პირს წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით უფლება აქვს დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება, ინფორმაცია ან მიმართვა;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, როგორც წესი, ასევე გათვალისწინებულია დაინტერესებული პირების (რეგისტრირებული ამომრჩევლის, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ორგანიზაციების, იურიდიული პირების და მოქალაქეთა ჯგუფების წარმომადგენლის) მომხსენებლად ან თანამომხსენებლად გამოსვლა და დებატებში მონაწილეობა. ამ უფლების გამოსაყენებლად დაინტერესებული პირი ვალდებულია, სხდომამდე 2 დღით ადრე მაინც წერილობით მიმართოს საკრებულოს აპარატს;

- საკრებულო 25 ნოემბრამდე ამზადებს რეკომენდაციებს ბიუჯეტის პროექტზე;
- საკრებულომ უნდა უზრუნველყოფს ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის ჩატარება. კანონმდებლობით და საკრებულოების რეგლამენტით არ არის განსაზღვრული საჯარო განხილვის ჩატარების ვადა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებულ პირებთან ბიუჯეტის პროექტის განხილვა მოესწროს იმ პერიოდში, როცა საკრებულო ბიუჯეტის პროექტის შენიშვნებზე მუშაობს, რათა საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნებიც აისახოს მერისთვის წარსადგენ რეკომენდაციებში;
- ბიუჯეტის პროექტზე შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარე, არაუგვიანეს 25 ნოემბრისა, ბიუჯეტის პროექტს გამოთქმული ყველა შენიშვნით უკან უბრუნებს მუნიციპალიტეტის მერს;
- მერი ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს, საკრებულოს შენიშვნებზე დასკვნასთან ერთად (რომელშიც აღინიშნება თითოეული შენიშვნა და ამ შენიშვნის მიღების ან უარყოფის დასაბუთება), არაუგვიანეს 10 დეკემბრისა წარუდგენს საკრებულოს;
- ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებზე მერის დასკვნას და ბიუჯეტის შესწორებულ ვარიანტს (შესწორების შემთხვევაში) აქვეყნებს საკრებულოს აპარატი მერის მიერ მისი შეტანიდან 2 დღის ვადაში;
- საკრებულოს შენიშვნების არარსებობის შემთხვევაში საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის პროექტის განხილვა იწყება ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნებიდან არაუადრეს ორი კვირისა;
- ბიუჯეტის პროექტის მეორე წარდგენის შემდეგ საკრებულოში იწყება ბიუჯეტის პროექტის განხილვა (გამოქვეყნებიდან არაუადრეს ერთი კვირისა);
- საკრებულო, ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს;
- წლიური ბიუჯეტი ქვეყნდება და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.

თქვენ, როგორც მოქალაქეს, რის გაკეთება შეგიძლიათ ბიუჯეტის პროექტის განხილვის ეტაპზე?

- გაეცანით საკრებულოს მიერ გამოქვეყნებულ ბიუჯეტის პროექტს, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად;
- წერილობითი სახით მიაწოდეთ თქვენი მოსაზრება საკრებულოს 25 ნოემბრამდე, რათა საკრებულომ თქვენი საკითხი მერისთვის წარსადგენ რეკომენდაციებში ასახოს;
- გაეცანით საკრებულოს კომისიების ჩატარების გრაფიკს და დაესწარით კომისიების სხდომებს;
- შეგიძლიათ კომისიის სხდომაზე დასვათ კითხვა და გააკეთოთ განცხადება წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით;
- გაიგეთ, როდის არის დაგეგმილი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა და აუცილებლად დაესწარით;
- მომზადებული მიდით საჯარო განხილვაზე, რათა დაარწმუნოთ საზოგადოება, რომ თქვენი საკითხი პრიორიტეტულია;
- შეხვედრის წამყვანის თანხმობით მოითხოვეთ სიტყვა ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვაზე და კიდევ ერთხელ შეახსენეთ ხელისუფლებას თქვენი საკითხი;
- გაეცანით მერიის მიერ მომზადებულ, ბიუჯეტის პროექტის მეორად ვარიანტს; ეს დოკუმენტიც უნდა გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;
- თუკი ნახავთ, რომ თქვენთვის პრიორიტეტული საკითხი ბიუჯეტის პროექტში არ არის გათვალისწინებული, მერიაში კიდევ ერთხელ გააგზავნეთ წერილი, სადაც დაასაბუთებთ თქვენს საჭიროებას;
- გაიგეთ, როდის იგეგმება საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის პროექტის განხილვა;
- მონაწილეობა მიიღეთ საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის პროექტის განხილვაში;
- შეგიძლიათ საკრებულოს სხდომაზე დასვათ კითხვა და გააკეთოთ განცხადება წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარის თანხმობით.

მესამე ფაზა - **ბიუჯეტის შესრულება, ანგარიშგება და კონტროლი**

ეს მნიშვნელოვანია:

- საბიუჯეტო წლის 1-ელი იანვრიდან იწყება ბიუჯეტის ხარჯვა;
- ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებელია აღმასრულებელი ორგანო;
- ბიუჯეტში წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიძლება შევიდეს ცვლილება, რომელსაც საკრებულო ამტკიცებს;
- მერია ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში ამზადებს კვარტალური შესრულების ანგარიშს და აგზავნის საკრებულოში;
- ბიუჯეტის ხარჯვის გამჭვირვალობისთვის მნიშვნელოვანია კვარტალური შესრულების ანგარიშები გამოქვეყნდეს;
- საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 2 თვეში მერიამ უნდა მოამზადოს ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და 1-ელ მარტამდე წარუდგინოს საკრებულოს;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს-თვის წარდგენიდან 10 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს;
- ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის შესახებ საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია საჯარო განხილვის ფორმატში;
- საკრებულომ უნდა განიხილოს ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში და ის დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს (თუკი შესრულების ანგარიში არ დამტკიცება, ამით არაფერი იცვლება, კანონმდებლობით ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება).

თქვენ, როგორც მოქალაქეს, რის გაკეთება შეგიძლიათ ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების ეტაპზე?

- გაეცანით დამტკიცებულ ბიუჯეტს და პრიორიტეტების დოკუმენტს;
- გაეცანით ინფორმაციას, როდის იგეგმება ბიუჯეტში ცვლილების განხილვა საკრებულოზე და დაესწარით სხდომას;
- თუკი თქვენი საკითხი არ იყო ბიუჯეტში გათვალისწინებული, შეგიძლიათ არაერთხელ მიმართოთ ადგილობრივ ხელისუფლებას და სთხოვოთ, დამატებითი ფინანსური რესურსის გაჩენის შემთხვევაში, გაითვალისწინოს ეს საკითხი;
- გაეცანით ბიუჯეტის კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს;
- გაიგეთ, როდის არის დაგეგმილი ბიუჯეტის წლიური ანგარიშის საჯარო განხილვა და დაესწარით;
- მიიღეთ მონაწილეობა საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის წლიური ანგარიშის განხილვაში.

რა შედეგი მოჰყვება თქვენს ჩართულობას შესრულებისა და ანგარიშგების ეტაპზე?

- გაიზრდება ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობა;
- გაიზრდება მოქალაქეების მიმართ ანგარიშვალდებულება;
- უზრუნველყოფილი იქნება ბიუჯეტის გამჭვირვალობა;
- გაიზრდება სამოქალაქო კონტროლი;
- ბიუჯეტის შესრულებაზე თქვენი უარყოფითი ან დადებითი მოსაზრება გათვალისწინებული იქნება მიმდინარე და მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების დროს;
- საზოგადოების მონაწილეობა, მისგან მიღებული უკუკავშირის საფუ-ძველზე, უზრუნველყოფს ფისკალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გადასინჯვას.

საბიუჯეტო პროცესში თქვენი ჩართულობა ზრდის ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას, უზრუნველყოფს ბიუჯეტის გამჭვირვალობას და ხელს უწყობს საჯარო ფინანსების ეფექტურად ხარჯვას.

საბიუჯეტო კალენდარი

	პერიოდი	საბიუჯეტო აქტივობა
ბიუჯეტის მომზადება	1 მარტი	პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის დაწყება
	1 მარტი	მუნიციპალური სამსახურების კოორდინაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა
	15 ივლისი	დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების მიწოდება ფინანსთა სამინისტროს მიერ
	15 ივლისიდან	საფინანსო ორგანო გაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად
	15 აგვისტომდე	სამუშაო ჯგუფი ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი
	არაუგვიანეს 15 სექტემბრისა	მუნიციპალური სამსახურები, მათი სამსახურის აქტივობების შესაბამისად, ამზადებენ მომავალი წლის ბიუჯეტს და განსახილველად წარადგენენ საფინანსო სამსახურში
	არაუგვიანეს 1-ელი ოქტომბრისა	მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს განსახილველად წარუდგენს მერის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს
	არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს და გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს

	პერიოდი	საბიუჯეტო აქტივობა
ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება	არაუგვიანეს 15 ნოემბრისა	მერი საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს და პრიორიტეტების დოკუმენტს
	20 ნოემბრისთვის	ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში შეტანიდან 5 დღეში ბიუჯეტის პროექტი ქვეყნდება საჯარო განხილვისთვის
	არაუგვიანეს 25 ნოემბრისა	შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მერს
	არაუგვიანეს 10 დეკემბრისა	მერი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს (საკრებულო)
	31 დეკემბრამდე	ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით
ბიუჯეტის შესრულება / ანგარიშგება	ყოველ თვის 10 რიცხვისთვის (თებერვალი, მარტი, აპრილი ...)	საფინანსო სამსახური ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს 2018 წლის ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით
	30 აპრილი, 31 ივლისი, 31 ოქტომბერი	საფინანსო სამსახური ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს 2018 წლის ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით
	28 მარტი	საფინანსო სამსახური საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა ამზადებს წლის ბიუჯეტების შესრულების წლიურ ანგარიშებს და წარუდგენს საკრებულოს
	1-ელი მაისი	საკრებულო არაუგვიანეს 1-ელი მაისისა საჯაროდ იხილავს ბიუჯეტების შესრულების წლიურ ანგარიშს და იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშების დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ

ქ. თბილისი, ბესიკის ქ. №4
+995 32 293 58 30
ndigeorgia@ndi.org
www.ndi.org

ქ. თბილისი, ბესიკის ქ. №4
+995 32 293 58 30
ndigeorgia@ndi.org
www.ndi.org